საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030136146213420

№ 01-544/ო **10 / ნოემბერი / 2020 წ.**

„სეზონური გრიპისა და COVID-19-ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის №01-150/ ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. „სეზონური გრიპისა და COVID-19-ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/ რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის №01-150/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

1. 6^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედააციით:

„6^1. ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-დან ოჯახის ექიმთან გადამისამართებული ზარების რაოდენობის გათვალისწინებით, შესაძლებელია განხორციელდეს დაწესებულებების ოპტიმიზაცია. ოპტიმიზაციას დაქვემდებარეული ონლაინ-კლინიკები ვალდებულნი არიან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში უზრუნველყონ ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ რეჟიმზე გადასვლა.“.

2. დანართი N2 ამოღებულ იქნეს.

3. 6^2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე